თამარ მეფე

მეორე, შევსებული გამოცემა
ფ. ჯიჯინაძისა

თფილისი
მაქ. შარაძის და ამხანაგობის სტამბა
1899 წ.

ალიო ბერიძე ბრიტანელი

თამარ მეფე

მეორე, შევსებული გამოცემა

33800

თფილისი
მაქ. შარაძის და ამხანაგობის სტამბა
1899 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Апрелія 1899 года.

თამარ მეფე

ვუძღვნი მეგობარს ესტატე ნიკოლოზის ძე ჩხარტიშვილს.

როგორც ქვა და რკინის ერთმანერთთან შეტყორცნით გამოკრთება ცეცხლი, ანუ ნაბერწკალი, ეგრეთვე აღმობრწყინდება თამარ მეფის ცხოვრების ამბავი. „ქართლის ცხოვრების“ თქმით ამ მეფის ცხოვრების აღწერა შეუძლებელია, ძნელი, მიუთხრობელი, ენით გამოუთქმელი. მის მომთხრობელს ბერძენთ ფილოსოფ ბლატონის და არისტოტელის ენა უნდა ჰქონდეს, ანუ ქართველთ დიდებულის რუსთაველის კალამი.

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული“

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინარხეული“. თამარ მეფის ცხოვრების აღწერის სიძნელე ძველადვე გამოთქვეს ქართველთ ნასწავლ ფილოსოფებმა. მაგალითებრ: თამარ მეფის დროის ქართველთ ფილოსოფ ივანე შავთელი ამბობს:

„შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
კრიტს, ალაბს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიბს,
ჩინეთ-ჩინეთსა, თარშის ქებულსა“.

იმავე დროის ქართველთ მეორე გამოჩენილ ნასწავლმა ფილოსოფ გრიგოლ ჩახრუხაძემაც მიმართა თამარის სიბრძნის აღწერას ასე:

„მოფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულის-ხმიერსა,
არისტოტელო, ბრძენთა ტომელო,
თუ არა შესძლებს ენა ძლიერსა“.

ჩვენ უველას ვერ მოვსთვლით აქ, ნამეტურ შეამკეს და აღიდეს შემდეგ დროის ქართველთ კათოლიკოზებმა თავიანთ ლექსებში—იამბიკოებში.

თამარ მეფე ბრძანდებოდა გიორგი მეფის ქალი, გიორგი მესამის მამა იყო დიმიტრი მეფე, დიმიტრის მამა დავით მესამე, შემდეგ დავით აღმაშენებლად წოდებული, რადგანაც ამ მეფემ განთავისუფლა საქართველო არაბებისაგან. მაშინ საქართველო არაბებს აძლევდენ სახელმწიფო ხარჯს, არაბებს ორასი წელიწადი ეჭირათ საქართველო. ამ დავწლისთვის დავით აღმაშენებელი ქართველთა კათალიკოზების ბრძანებით წმინდანათ იქმნა მიღებული. ამის შვილი დიმიტრი მეფეც ბრძენი მეჯე იყო, ეს ბერათ შედგა, სახელად დამიანე დაარქვეს, ქართულს მწიგნობრობასაც მისდევდა,—მეფობა შვილს, გიორგი მესამეს ჩაბარა. როგორი ბრძენ მეფენიც დავით და დიმიტრი ბრძანდებოდნენ, ასეთივე ბრძენ იყო გიორგი მეფეც, გიორგის ქალი ბრძანდებოდა თამარ მეფე, ანუ თამარ მნათობი. რუსთაველის სიტყვით მზის სადარი, ბინდის გამსხივებელი, ქვეყნის მზე-თინათინი.

თამარ შეფის დედა ბრძანდებოდა ოსეთის მთავრის ხუდანის ასული ბურდუხან, დედოფალი მეტათ ჯკვიანი. ჩვენის ისტორიის თქმით ეს დედოფალი უმაგალითოს კარგის თვისების ყოფილა, მას დიდათ ებრალებოდა ღარიბნი, ღატაკნი, ბრალეულნი, დამნაშავენი, ყველას ქომაგი, ყველას მოამხრე, ღატაკებს თვით თავის ხელით ურიგებდა სარჩო საბადებელს, მოწყალებას. გიორგი მეფეც ასეთივე კეთილის თვისების ბრძანდებოდა. ამათ ასწავლეს თამარ მეფეს ნაზი კრძალულება, მადალი სათნოება, დამნაშავეთა საქმეების კარგათ განსჯვრეტა, მერე მის გარჩევ-განბჯობა, ყველას შეწყალება, ყველას პატივი, დიდთა და მცირეთათვის ერთი სამართალი.

მეფე გიორგიმ, დიმიტრიმ და დავით აღმაშენებელმა თვის ჯკვიანის მოქმედებით საქართველო ეოველნაირის მხრით აღმაღლეს, დაწინაურეს, თანაბარ გახადეს იმ დროის ყველა განთლებულ სამეფოების, რომლებიც დიდის დიდებით ბრწყინავდენ. ასეთ განათლებულთ ტომთა ეკუთვნოდენ ელინნი, (ბერძენი) იტალიელნი, ფრანგნი და ზოგი ერთიც სხვა

განათლებულ ქრისტიანთ სამეფონი. მაშინ საქართველო ამათი ცალი და სადარი იყო, ამიტომ ეწოდება ქართველთ ბრძენ კაცთაგან ხსენებულ დროის საქართველოს „ოქროს საუკუნე“ „ასე რომ დიდებულს და ბრძენს თამარ დედოფალს მამაპაპათაგან ჩაბარდა ძრიელი საქართველო, ძრიელ სამეფოს მოეგლინა ჭკვიანი დედოფალი და ამან უფრო გააძლიერა ბევრ ნაირის ძალიერებით ამადლებული საქართველო.

ასეა ყველგან სადაცკი დედ-მამას კაი შვილები გამოსდით, უსეირო შვილების მეოხებით ბევრი ოჯახი დაცემულა, ბევრი სამეფოებიც მოსპობილა, ბევრს მამასახლის დაუკარგავს თვისი მამასახლისობა, ბევრს მეფეს მოჭლებია ბოლო, წართმევია გვირგვინი და ტახტი. ჩვენ ქართველნი ძრიელნი და ბედნიერნი ვიყავით მაშინ, ვიდრე კარგი მეფეები და თავადები გვყანდნენ, დავეცით მას შემდეგ, როცა უპირველესად ესენი წახდენ, როცა ამათ უძღური ხალხის საქმეს გული აჭყარეს, თვალი მოარიდეს დიდ პატარობა დაარსეს, მადალი წოდება გაამედიდურეს, ხელში მათ უძღურთა მოამრეობის ძალა მისცეს, ბევრნაირის უსამართლოების ძალოვნებით შემოსეს, დიდსა და მცირეთ შორის დიდი განსხვავება და გარჩევა დაუფუძნეს.

საქართველო ამადლდა რიგიანის გამგე პირებისაგან,—საქართველო დაეცა ურიგო მეფე-თავად-პირებისაგან.

თამარ მეფე დაიბადა 1159 წ. იგი მეტათ ჯან სადი ბრძანდებოდა. შესახედავობით ოფოილა მეტათ ნარ-ნარი, მშვენიერის თვალ-ტანადობის, უმაწვილის ხიდვას ყველა განცვიფრებაში მოიყვანდა. თამარის დაბადება მთელმა ქართველობამ დიდის დიდებით იდღესასწაულა. თამარის დაბადების დღესასწაულის მიზეზათ ისიც იყო გამხდარი, რომ გიორგი მეფე, ე. ი. მამა თამარ მეფისა და მეუღლე გიორგი მეფის, დედა თამარის,—დედოფალი ბურდუხანი ქართველებს დიდათ უყვარდათ. ამ სიყვარულს ნათლათ აცხოველებდა მათი კარგი მოქმედება, ერის უზადოთ სიყვარული, მათი უმანკოთ პატივის ცემა და ქართველი ტომის წარმატების საერო დადადი. ერის უზადო

სიყვარულს უარესათ ათვართოვებდა და ამძლავრებდა იმ დროის ქართველთა ტომის სიუხვე, სიდიადე, მაშინ ქართველი ტომის ორივე სქესის რიცხვი ითვლებოდა 10 მილიონზე მეტი. ამას გარდა მაშინდელს ქართველებში სხვა ბევრი კეთილი რამ წარმატებით მხარეებიც არსებობდა, მაგალითებრ: მადალსა ლ დაბალს წოდებაში არ იყო ისეთი ზიზღი და მტრობა გავრცელებული, რაც ჩვენდა საუბედუროთ ეს შემდეგ დროის ქართველებში გავრცელდა. მაშინ თავადი, აზნაური, მდვდელი და გლეხი ყველა ქართველ იყო, ყველას თავის თავი ქართველად მიაჩნდა, ყველა მათ ნეტარებდა, რომ იგი საქართველოს შვილი იყო, ერთის ტომის აკვნის ძენი, ერთის კერის წინაშე ყველა ერთობით მსხდარი. იცოდნენ მათ ისიც კარგათ, რომ ვიდრე მათ შორის იქმნებოდა მტკიცე ერთობა, მინამდის მათ მტერი ვერას დააკლებდა, ვერ გასტეხდა, რაცა ეს დირსებადმტირებულ შეიქმნებოდა მათ შორის, მაშინ მათ მტერიც ადვილად მოერეოდა. ამ ბრძნულს ანდაზას ასაბუთებს შემდეგი თქმულებაც:

„შურმან ქართველის კაცისამან დააქცია ოჯახი თვით ქართველთა, ფერფლათ აქცია ჩვენი მამული“.

რაცა ქართველთ შორის შურმან იწყო მადა წევა და გათვართოვება, მას შემდეგ ქართველი ერიც მიეცა ვრდომილებას და უძლურებას, ამ მოსავალს ის გარემოებაც უფრო უწყობდა ხელს, რომ ჩვენს გარშემო მაჭმადიანთ იწყეს ადორძინება და გამაგრება, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ საქართველო ვერ ადორძინდებოდა და ვერ დაწინაურდებოდა იმ სახით, რაგორც იგი დაწინაურდა მშვენიერის დაბებით, სოფელ-ქალაქებით, გზა და ხიდებით, მეურნეობით, ხელოსნობით, ეკეკლესიების შენებით, სწავლით და ხალხის რიცხვით, მაშინ იმოდენათ ძლიერი იყო ქართველი, რომ მარტოთ ახალციხის მხარეს ერთი მილიონი ქართველობა სცხოვრებდა. მაშინდელ ქართველთ ძლიერებას განცვიფრებაში მოჭყავს თვით ადევან-

ლელ ქართველს გარეშე უცხო მოგზაურიც, ჩვენ-კი დაბრმავებულები ვართ.

თამარ მეფე პატარაობიდგან იზრდებოდა სამეფოს სახლში, მას ზრდიდნენ იმ დროის ქალების წავლის წესლების კვალათ. უმეტეს ეურადღებას აპურობდა რუსულან დედოფალი, მამიდა თამარისა. ეს დედაკაციც მეტათ ჭკვიანი ყოფილა, შორს მხედველი, მცოდნე იმ დროის ყველა სწავლა მეცნიერების, მასთანვე ხელსაქმეშიაც დახელოვნებული, ჭრა, კერვა და ქარგვა უმაღლესის ზომით სცოდნია. ამ ქალს დიდათ სურდა საქართველოს სიძლიერე და სიდიადე, თავის ძმა გიორგი მეფეც დიდათ უყვარდა. თამარ მეფე სწავლაში მეტათ ხალიჩანი ყოფილა, ყველა საგნებს იგი უადვილესად ითვისებდა. თამარმა კარგათ შეისწავლა ქართული ენა, საქართველოს ძველი ისტორია, სადმრთო წერილი, სხვა-და-სხვა საგნები, ბერძული ენა და მათი მწიგნობრობა, ლათინური ენა და წერა, თათრული, სომხური და რუსულიც, რადგანაც მაშინ რუსნი ქრისტიანები იყვნენ, მასთან ძლიერნი მართლმადიდებელნი. ყველაზე მეტი გონიერება ამას ეტყობოდა სახელმწიფო საქმეების მართვის გონიერებაში.

თამარ მეფეს მშობლები ადრე დაეხოცა, მცირე დროს მის მამიდაც მართავდა საქართველოს ტახტს. თამარი მოწიფულებას მიეცა, მას გათხოვება დაუპირეს, მაგრამ იგი არა ნდომობდა. მამის თხოვნას კარდა მამიდამაც სთხოვა გათხოვება, თამარმა შეისმინა მათი თხოვნა, მაგრ საქმრათ რუსეთის მეფის ანდრია ბოლოლუბსკის ვაჟი მოიყვანეს და მასზე დააქორწილეს, მაგრამ ამათი ცოლ-ქმობა მცირე ხანს დარჩა, იგინი მალე განქორწინდენ, რუსი გიორგი სტამბოლს გაიქცა, იქ ბერძენთა იმპერატორს შველას სთხოვდა, ჯარი მომეცი, წავალ საქართველოში და თამარ მეფეს შევებმები და მე გავმეფდებიო, მაგრამ ბერძნებმა დახმარება არ მისცეს, იგი მოვიდა მაშინდელს ერუშეთში, (არტაანის ოლქი) იქაური ქართველების ზოგიერთი მთავრები მიიმხრო და თამარს ომი

დაუწყო, მაგრამ იგი მალე იქმნა ძლეული, საქართველოდგან გაამეცეს, ამით გათავდა თამარის საქმე.

თამარ მეფე ერისა და დიდებულთა თხოვნით დიდების უველა წმიდის ტაძარში დაგვირგვინდა. დანიშნულს დღეს დიდი ხალხი შეიკრიბა. ეკეკლესიაში დაიწყეს წირვა და გალობა, მგალობელნი გალობდნენ შესანიშნავის იმ დროის გალობით. გვირგვინის კურთხევის შესრულების დროს თამარ მეფესთან მიბრძანდა ქუთათელი, მთავარ ეპისკოპოზი, ანტონ სალირის ძე, კაცი თავის დროის კვალთ მალალის სწავლით შემოსილი, ამან დაადგა თამარ მეფეს თავს გვირგვინი. შემდგომ ამის მოიღეს ხმალი: ვარდანის ძემ, ამანელის ძემ და სხვათა შემოსეს თამარ მეფე. ამავე დროს, სამეფოს მხნეობისა და ერთგულობისათვის დალოცეს დიდის დიდებით კახაბერი კვირიკის ძე ერისთავი რაჭისა და თავკვერისა, წირვაზე შეაქეს ქართველთ მდგელ მთავრებმა, მათ ადიდეს დიდებული თამარი, მელექსეებმა აქეს ლექსებით თამარ მეფის ჯკუა.

ამ დღისთვის და შემდეგაც დიდებეში იკვლოდა დღეში ათასი ცხვარი, ძროხა, ხბო, თხა და გარეული ნადირი, კარგათ მომზადებული საჭმელები მიერთმევოდათ სტუმრებს და მოწვეულთ უცხოთა, ამათ გარდა უოველ დღე ურიგებდნენ საჩუქრებს, მისმა უხვმა საჩუქრებმა დაამდიდრა დარიბ-დატაკნი. ობოლ დატაკებთ მიუჩინა გამზდელნი, მოხუცებულთ მათხოვართათვის გააკეთებინა სამალლო სახლები. გააკეთებინა უცხოელთ მოგზაურთათვის სასტუმრო სახლები, ქარვასლები. ერთის სიტკვით თამარ მეფე სრულის სიუხვით მიეგება დაგვირგვინებას. მაშინ თურმე დიდების ეკეკლესია დიდი ეკეკლესია უოფილა, მიტომ დაგვირგვინებულა აქ, რომ უველა უმალლესი ხირი მოთავსებულიუო ეკეკლესიაშიო. შემდეგ საუკუნოებში ეს ეკეკლესია მტრისაგან მთლათ დაიქცა, მერე დაქცეულის ნაშთები ყამთა მიმდინარეობის ქარმა, წვიმამ და სეტყვამ სრულიად მოსპეს, გაქრეს სამუდამოთ. ამ ეკეკლესიის

ადგას შემდეგ აღგებულ იქმნა ხატარა ნიში, რომელზედაც ამ სუკუნეში აღაშენეს ახალი ტაძარი.

დაგვირგვინების შემდეგ თამარ მეფემ დიდი უურადღება მიაქცია სამეფოს საქმეებს, ჯარის ცხოვრებას, ხალხის საჭიროების გაცნობას, ეკკლესიების შენებას, არხების გაყვანას, სასწავლებლებმა ერთი ათად იმატეს, კარგათ გაჩაღდა ქართული მწიგნობრობა, გამოვიდნენ შესანიშნავი შოთა რუსთაველი „ვეფხის ტყაოსნის“ დამწერი, იოანე შავთელი, თეიმურაზი, გრიგოლ ჩახრუხაძე, დავით საათაბაგელი, „ვისრამიანის“ მთარგმნელი, სარგის თმოგველი „დიდარიანის“ დამწერი და ზოგიც სხვანი სამხედრო და სასულიერო გვამნი, შოთა რუსთაველმა „ვეფხის ტყაოსანი“ საქართველოზედ დაწერა. როგორც რუსტაველ მეფეს თინათინის მეტი სხვა შვილი არ ჰყოლდა, მან დაგვირგვინა თინათინი მეფედ, ესევე იყო თამარიც. ამის მამას თამარის მეტი სხვა ძე არ ესვა. რუსტაველ მეფე — გიორგია, არაბეთი — საქართველო. თინათინი-თამარი, ინდოეთი იმერეთი, ქაჯეთის ციხე – ახალნადელი ქაჯეთის ციხე, ქაჯელნი სამცხელნი. ხატაველნი-ოსები.

თამარ მეფეს სამეფო მოვალეობის გარდა მეტათ კარგად ჰქონდა შესწავლილი ხელ საქმეც, სამეფო საქმეების გარჩევის და განბეჭობის შემდეგ იგი ჰკერავდა და ჰქარგავდა, სხვა და სხვა სამდგელმთავრო სამოსს, უმეტეს ეპისკოპოზების სამოსს ჰქარგავდა, მერე მათ ეპისკოპოზებს სწირავდა. მისის თითებით შეკერილ და მოქარგულ დათვარნებით სავსე ოთხილა ძველათ საქართველოს დიდრონი ეკკლესიები. დღევანდამდე იხილვება სურათი მისის გულსაკიდის ჯვარისა, ქართული წერაც ქარგვასაებ სტოდნია, მისგან დამტკიცებულსიგელ გუჯრებმა ჩვენ დრომდის მოაღწიეს, ამ გუჯრებზე თამარ მეფე განსაცვიფრებელის ოსტატობით აწერს ხელს, სულ ორს ასოში იხატება მისი სახელი — თამარ მეფე. თამარ მეფის საბედნიეროთ, მის მეფობის დროს შეესწრნენ მეტად ჭკვიანნი და ბრძენ სამეფო ქართველთ გამგენი. ეს ბერნი

იყვნენ თამარ მეფის მარჯვენა მკლავნი. ამათმა უზადო მოქმედებამ, სამეფო საქმეების დრმად ჩაკვირვებამ ქართველთა შინაურსა და გარეულს საქმეებს მეტათ კარგი, სრული, დიადი მიმდინარეობა მისცეს. ასეთ პირებს ეკუთვნოდნენ ზაქარია მხარგძელი, ივანე მხარგრძელი, ვარამ გაგელი, შალვა თორელი და სხვანი. ამათმა ძრიელმა მკლავემ და მიწის მგელობამ საქართველოს მისცეს თვის ადგილებთა სიმტკიცე, სამეფოს სამფლობელო ადგილების გამრავლება. ამათ განავრცეს და მტკიცეთ შემოვარგლეს ქართველთა მიჯნები, გაოხრებული ჭოსიანთ ქალაქებიც ამათ დაუკავშირეს უფრო მტკიცეთ ქართველებს, ქართველ მეფეებთა სამახსოვროთ ანში რამდენიმე ქართველთა ეკეკლესიებიც აღაშენეს, რომლებმაც შემუსვრით ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს. ერთ ამ გმირთაგანი სარწმუნოებით მართლმადიდებლობას დაუკავშირდა, რადგანაც იგი გრიგორიანი იყო, ამ გარემოებამ ჭოსიანთა და ქართველთ შორის განხეთქილება ჩამოაგდო, მაგრამ თამარ მეფემ ეს მალე დააწყნარა. მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ზაქარია და ივანე ძმარგძელნი სარწმუნოებით იყვნენ გრიგორიანნი, თორემ გვარტომობით, ენით და ხასიათით ნამდვილ ქართველები იყვნენ. ამათსავე დროს, ქართულს მწიგნობრობას გარეშე ბრწყინვალეთ მოქმედებდენ ივანე შავთელი, კაცი თვალსოფი, მალალის გონების მექონი. გრიგოლ ჩახრუხაძე, კაცი გამოჩენილი გამგე და მოსე ხონელი, ჭკვიანი მოსამართლე და რამდენიმეც სხვა სასულიერო პირნი.

ამათ დროს საქართველო ირიცხებოდა რკინის პალოდგან დარუბანდამდე, თვალისი მაშინ სამეუფო ქალაქთ ითვლებოდა, მცხეთა საკათალიკოზო დედა ეკლესიად, კათალიკოზი ცხეთაში ბრძანდებოდა, ტფილისში თვალელი მიტროპოლიტი განაგებდა. თამარ მეფეც უმეტეს ტფილისში სცხოვრებდა. განვლო დრო ჟამმან და ქართველთ დიდებულთა შორის დაიბადა თამარ მეფის გათხოვების აზრი! მალე დანიშნეს კრება, თათბირი ჭქმნეს და გარდასწყვიტეს თამარ მეფის მეორე

ქმარზე გათხოვება, მოტიქულათ მიუგზავნეს მამიდა—რუსუდან დედოფალი, ამან აუწყა თამარ მეფეს ერის წადილი და თვითაც დაავალა გათხოვება. თამარ მეფემ შეისმინა მამიდის რჩევა, გათხოვებაზე თანხმობა განაცხადა. სასიძო მალე გამოსჩნდა, ეს იყო ოსეთის მთავრის შვილი—დავით სოსლანი.

დავით სოსლანი თავის დროის კვალათ განვითარებული პირი იყო. იმ დროის ოსები მთლათ ქრისტიანები იყვნენ, მათში გავრცელებული იყო ქართული ანბანი, ქართული წიგნები, იგინი მაშინ მკაფიოთ ქართველობდენ, შემდეგ კი უბედურმა გარემოებამ და ყაბათა ვითარების პირობებმა ოსები გაათათრა, განათლების წარმატებას მოაცილა, უკანასკნელ იგინი გადაასხვაფერა, დავით სოსლანი იყო იმ დროის ერთ განვითარებულ მთავართაგანი, გვარად ესეც ბაგრატოვანი, ძველი შტო და მომავალი თვით თამარ მეფისა, დავით ეგვლადფრით მოსაწონი ყოფილა, თანხმობის შემდეგ ქორწილი მალე მოხდა, ქორწილი დიდუბის ეკკლესიაში მოხდარა, რადგანაც ამავე ეკკლესიაში დაგვირგვინდა. ამ დაგვირგვინების სახსოვრად იოსებ დავითაშვილმა სახალხო კილოთი სთქვა შემდეგი ლექსი:

„საქართველოს დედოფალი, დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის მეუღლე, რომელს უმშვენა მან მხარი!
დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი,
ასი სული ცხვარი დაჭალა და ორასი ნიშა ხარი,
ქვრივ ობლებსა უწყალობა ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი,
სიბრძნით სიუხვით ქებული, დილის ცისკარი სადარი,
ის მნათობი ქვეყნიური, მკვდარიც ვერ ვპოვეთ სად არი?“

ქორწილის შემდეგ თამარ მეფემ დიდი წყალობა გასცა ღარიბებზე, რაგორი მოწყალეც თამარ მეფე ბრძანდებოდა, სწორეთ ისეთივე ადმოსჩნდა დავით მეფეც, ამათ ქართველთა შორის დაამყარეს მშვიდობიანი წესები, ურჩნი დაამუხლეს, მჩაგვრელნი ადაგმეს, სამეფოს საქმეები ოსტატურათ განა-

წეს, ეკლესიმწიფოებთან ოსტატურათ იწეს კავშირი, უმეტეს ამათ ეურადღება მიაქციეს დასავლეთ სამხრეთ საქართველოს კუთხეებს, ოლთისისკენ, ეარსის, ერუშეთის (არდაგახის) და სხვა ასეთ კუთხეებში მრავალთა იწეს ტიხე, კოშკ ხიდების გაკეთება, მათგან გაკეთებული ხიდები აჭარა, ლიკანა, შავშეთში დღესაც მრავალია, ხალხი ამბობს, რომ იგი თამარ მეფის ნაკეთებიაო. ამათ იცოდნენ ამ კუთხეების მნიშვნელობა და მიტომ მიაქციეს მას ეურადღება, პირველად თამარ მეფეს ამ კუთხისაკენ მოუხდა ომი ნუქარდინთან, ნუქარდინ ძლეულ იქმნა. ამაზე გამოითქვა შემდეგი ლექსი გარდასხვაფერებით:

„თამარ მეფე და ხონთქარი, მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა, ზღვაში ჩაუშო ხომალდი, ზედ ალმასები დაჰკიდა, [და“ ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი მრავალ წყალობას დაჰპირ-

ნუქარდანის ომის დროს ქართველებმა იპოვნეს ერთი ძველებური „კარაბადიმი“ არაბულს ენაზე ნაწერი, ნუქარდინის ჯარის ექიმს ჰქონდა ეს „კარაბადიმი“, ჯარში თან წამოდებული. თამარ მეფემ დიდი ეურადღება მიაქცია ექიმობას, ეს „კარაბადიმი“ ათარგმნინა ქართულად, გაამრავლა ექიმები და დოსტაქრები, „წამალხანები“ და საექიმო წიგნები. ასეთის დიდების სამახსოვროთ ლექსი სთქა იმ დროის ბრძენ გრიგოლ ჩახრუხაძემ:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა ნარ-ნარი, პირ მცინარი;
მზე მცინარი, საჩინარი,
წყნარი, მთქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი!
არსად მთქნარი, უჩინარი,
ვარდ შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ლაწვ მწყაზარი, პირ მცინარი“.

ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ამაოდ, ადვილად არ მოგვითხრობს, რომ თამარ მეფის მშვენების და კეტოთოვის კარგი

საქმეების ცნობების აღწერა მეტათ ძნელია, შეუძლებელია, ამასვე მოგვითხრობენ თვით თამარ მეფის მეფექსენიც. ბევრს დირსებასთან თამარ მეფეს მეტათ კარგი მომთხრობელი ენა ჰქონია, შესანიშნავი მფარველ მქადაგებელი ეოფილა, ამასვე ასაბუთებს იმ დროის იკანე შავთელის ეს სიტყვა ლექსად:

თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყმათა,
მშიერთა პური, უსახლ-სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მოვლინებული,
მოხუცებულთა, შორით რებულთა,
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი.
მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა,
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი".

თამარ მეფეს კარგათ იცნობდნენ და აქებდენ: ბერძნები, თათრები, ფრანგნი, რუსნი, სომეხნი, ჩინელნი, ეგვიპტელნი, ჭინდნი, სლავიანთა ტომნი და მრავალიც სხვა ტომთა ძენი. თამარ მეფის სახელს უველგან ქებით იხსენიებდნენ, ამის სახელს ამოსწრიდნენ დანებზე, ხმალს-ხანჯალზე, საეკლესიო ნივთებზე, ჯურჯელზე, სახლის კარებებზე, უვავილიანის ასოებით ძვირფას ნივთებზე, ხალებზე და სხვაგან. ქართველნი ამოსწრიდნენ უფრო შოთა რუსთველის შემდეგ სიტყვებს:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული.
ვის შვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ შიმშერისა,
მეფისა მზისა თამარის, ღაწვ-ბალახშ თმა გიშერისა"

თამარ მეფე ხშირად ხედავდა ქართველთ ლაშქართა, მას სამუდამო მორიგი ჯარის ჰყავნად კაცი ოთხ-ასი ათასი. ჯარს ინახავდენ კარგათ, ჯარის კაცთა სამსახური სამი წელიწადი იყო. მათ ეძლეოდათ კარგი საჭმელ-სასმელი, მიტომაც სძლევდენ იგინი მტერს. უველა ჯარის კაცს იგი შვილს ეძახდა, უველა ჯარის კაციც მას დედას უწოდებდა. დავით სოსლანის ხელში თამარ მეფეს მიეცა ორი შვილი, ერთი ქალი, რომელსაც მამიდის სახელი — რუსუდანი უწოდა, მეორე

ვაჟი, დაშა გიორგად წოდებული, დაშა ათხაზურს ენაზე ბრწყინვალეს ნიშნავს. ორის შვილის მიტევის შემდეგ თამარ მეფემ თავის ქმარს მიმართა და ასე უთხრა:

— რაც საჭირო იყო ჩვენთვის, ის მე უკვე მოვეცი ჩვენს ქვეყანას. დღეის შემდეგ დოგანი ჩემი შეუგინებელ უნდა დაშთეს, დღეის შემდეგ ძე ჩემის დოგიხით თავისუფალ უნდა ვიქმნე. ქმარმა შეისმინა თამარის თხოვნა, მას შემდეგ დოგანი მისი დარჩა განმარტოვებულ. ამ გარემოებამ ბრძენ ქართველ სამღვდელოთა წინაშე დაბადა აზრი, რომ თამარ მეფე სიკვდილის შემდეგ ქართველთა წმინდანათ უნდა ჩაითვალოსო, ჩათვალეს კიდეც, მაგრამ შემდეგ კი მივიწყებულ იქმნა ეს მრავალთაგან. თამარმა დიდი ეურადღება მიაპყრო მთიელ ხალხთა ცხოვრებასა, მათში გაამრავლა ეკკლესიები და სკოლები, განამტკიცა ქრისტიანობა, ლეკებში მთლათ მოსპო კერპობა და გააქრისტიანა უველა, აუშენა მათ ტაძრები, ეკკლესიები, დეგნილს სომხებს მხარს უჭერდა, უველას ქომაგი იყო, უველა ქრისტიანი სიხარულიო უმზერდა, ათხაზებშიაც ერთი ათათ წინ წასწია განათლების საქმე, დახსნა სკოლები, წერა-კითხვა დიდის პატივით შეიმოსა ათხაზთაგან. არც ოსეთი დასტოვა უეურადღებოთ, ოსებსაც დიდი სამსახური გაუწია, იგინი განვითარების გზაზე დააყენა, დახსნა მათში სასწავლებლები, მონასტრები და ეკკლესიები. თამარ მეფის რჩევითვე ტრაპიზონში დაარსებულ იქმნა ბერძენთა იმპერიის მეორე ნაწილი, რომელსაც ეურადღება უნდა მიექცია ტრაპიზონს იქეთ და აქეთ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქთა და დაბა სოფლებში მცხოვრებ ბერძენთათვის, რომ მათთვის საქმე არ გასჭირებოდათ, რადგანაც ბერძენთა რიცხვი აქეთაც დიდი იყო და მეორე, ბერძენთა ძალიერება ქართველთათვისაც კარგი იქმნებოდა, რადგანაც თამარ მეფე იყო მეტათ მღვთის მლოცავი, მასთანვე ბევრის უმაგალითოს თვისებით ადგსილი, მას თავის სიკეთე და შრომა არავისთვის არ შურდა, სამეფოს და ერის დიდის სამსახურით იგი დიდათ

ამადლდა, მისი ამადლება იყო საქართველოს დაწინაურება, საქართველოს დაწინაურება გახდა თვით ქართველი ერის სიძლიერეთაც. ასეთ დაწინაურებულ ერის მეფეს უფრო დიდი შრომა და სამსახური უხდებოდა, დიდის შრომისაგან იგი მალე მოუძღურდა და ჯერეთ ისევ ხანში არ შესული გარდაიცვალა 1201 წ.

ამის გარდაცვალების ცნობა მთელს საქართველოში მოითვინა, ქართველთ გარდა, სომხებმაც მწარედ იგლოვეს, რადგანაც სომხეთი ამ დროს დაცემული იყო, მის ერი განბნეულ-დევნილი, მაჭმადიანები სასტიკად სტანჯავდენ, თამარ მეფე დიდათ მფარველობდა მათ. მიცვალების გამო ქართველთ მღვდელ-მთავრებმა წარმოსთქვეს შესანიშნავი სიტყვანი ქადაგებით და იამბიკონი ლექსათ, მეისტორიეთა აღწერეს მისი ბრძნული ცხოვრება დიდის პატივის ცემით. მელექსეებმა წარმოსთქვეს მშვენიერნი სამგლოვიარო ლექსნი და ქებათა ქებანი. დასაფლავების დღე დანიშნეს, თფილისიდგან დიდის ამბით და საერთოს პატივისცემით ცხეთას მიასვენეს, დროებით იქ დასვენეს, როცა ხალხი მოგროვდა და შესრულდა მთელი მხვედრი, მერე მცხეთის ტაძრიდგან წასვენეს იმერეთს, გელათის ტაძარში და იქ დასაფლავეს, თავის მამა-პაპის ახლოს. ამის გარდაცვალების შემდეგ დროებით ჭმართა რუსუდან დედოფალმა, მისმა მამის დამ, მაგრამ ლაშა გიორგიც მალე გამეფდა. თამარ მეფის გარდაცვალება იგლოვეს ნამეტურ სნეულთა და უძღურთა, რომელთა დიდს ქომაგათაც ბრძანდებოდა. თამარი თუ რამოდენად ძლიერი იყო და რამოდენად პატივცემული ქართველთაგან, ამას გამოაჩენს შემდეგი ამბები, რომლებიც ხალხშია ზეპირ დარჩენილი.

—

თამარ მეფეს დიდათ უყვარდა დასავლეთ საქართველო, მაგრამ თავის სიყვარულს არც სხვა ქართველებს აკლებდა. ნამეტურ ხშირათ დაბძანდებოდა ხოლმე ბ.თუმის ახლო მახ-

დო, ამიტომაც არის რომ აჭარელ ქობულეთელ გათათრებულ ქართველებს დღესაც კი ახსოვთ თამარ მეფის ცხოვრების ცნობები. ეს ცნობები მათში ვერაფერს მუსულმანურს მახვიდს ვერ ამოუგდია. დღესაც უკვლავთ ახსენებენ თამარ მეფის სახელს. ძველთ, ქობულეთელს, ქართველ მაჰმადიანს ბეჟანის ძეების ერთს წევრთაგანს გამოუთქვამს შემდეგი ლექსი:

„ათასი კაბა ყმა მყვანდა, ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასომდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება შევები ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა“

ეს ლექსი ქართველ მაჰმადიანებმა ზეპირათ იციან, მათ ძლიერ უყვარსთ თამარ მეფის ცხოვრებიდგან საუბარი, ამის მიზეზათ იმ გარემოებას აღიარებენ, რომ თამარ უმეტეს ბათუმისაკენ სცხოვრებდაო. თვით ლექსის გამომთქმელის ბეჟანისძეების ძველნი იწოდებოდენ ჰირმსახურის ძეთ. ჰირმსახურათ ჩვენში თამარ მეფეა მხოლოდ ხმობილი, ამბობენ, რომ დიახო, ღმერთმანი ბეჟანისძეებთა ძველნი თამარ მეფის მსახურნი ეოფილანო.

—

ქართველი მდაბიო ლაპარაკობს, რომ თამარ მეფის საფლავი დაკარგულიაო. ზოგნი ამბობენ ვარძიაში ასაფლავიაო, ზოგნი ამბობენ მცხეთასო, ზოგნი ამბობენ რაჭაში, ერთს კლდის გამოქვაბულს კუბოში ასვენიაო, ეს ამბავი ერთმა ტვინით ავათმეოფემა აინიჭა და მის გამო მკითხავობაც დაიწყო, ტვინით ავათმეოფემა კინაღამ მთელი ქართველობა აიეოლია და თამარ მეფის საფლავი რაჭის ერთს გამოქვაბულში აძებინა, მაგრამ ეს არ არის მართალი.

თამარ მეფე ასაფლავია გელათში, დავით აღმაშენებლის ახლოს.

ამ ტეუილ ამბების გავრცელებას დაეხმარა ის გარემოება, რომ თამარ მეფის დასაფლავების შემდეგ, ქართველთა მტერთა თავ დასხმის მეოხებით გელათი რამდენგზისამე იქ-

მნა ითხრებული, ითხრებული ისე, რომ ეკკლესიაში იატაკის ანუ სიფლავის ქვებიც ადარ დარჩენილა მთლად. ნელ-ნელა საქმე ისე მოეწყო, ქართველთა ცხოვრების საქმე ისე გაუჭირდათ, რომ მათ ადარ სცალოდათ მეფეთა სიფლავების პატრონობა, მათ საქმეს უჭირებდა თვით სიცოცხლის დაფარვის მზრუნველობაც. მათ მიივიწყეს მრავალ მეფეთა სიფლავები, მიივიწყეს თვით თამარ დედოფლის სიფლავიც, რადგანაც სიფლავის ქვები აქა იქ ეკკლესიებში შემუსვრილ იქმნენ. ხალხმა მიივიწყა, მაგრამ ისტორიის მწერლებმა კი არ დაივიწყეს იგი, მათ მაშინათვე დასწერეს „ქართლის ცხოვრება“-ში, თუ სად დაკრძალეს გვამი თამარ მეფისა. ეს ისტორიული ცნობები მდაბიო ხალხისათვის მაშინ სულ არ არსებობდა, მათში წერაკითხვა დაცემული იყო, იგინი ვერას წაიკითხავდენ და მაშასადამე ვერც არაფერს რიგიანად შეისწავლიდენ. ამ უკან ვრდომილების მეოხებით ქართველთა მდაბიოს სამუდამოთ მივიწყალთ თამარ მეფის სიფლავი, ნამეტურ ქართლის გლეხმა არც გელათი იცოდა, არც კიდევ სხვა ასეთი შორი კუთხეები, რომ მას მის მეოხებით რამე სცოდნოდათ, სადმე მისულიყვნენ და თამარ მეფის სიფლავის ამბავი ან ამოეკითხათ, ან ვისგანმე ზეპირ ნაამბობი მაინც მიეღოთ და გონების კვალად დახსომებოდათ რამე. ამის ძალა მათ არ ჰქონდათ და ამიტომაც მათ თავიანთის ხსოვნით თამარ მეფის სიფლავიც დაკარგულათ გაავრცელეს, მაგრამ ეს არ არის მართალი.

თამარ მეფე გელათში ასიფლავია, იქ არის ამის სიფლავი, ამასვე გვიმტკიცებს „ქართლის ცხოვრება“-ც. უმეტეს ეს მისი ბრალიც არის, რომ რაც ერთის თავობისგან დავიწყებას ეძლევა, ის შემდეგ თაობისათვის საზღაპრად ხდება.

—

მურღულში, ართვინის ოლქის ქართველ მაჭმადიანები ლაპარაკობენ შემდეგს:

— თამარ მეფე მურღულში ასიფლავია.

33800

მხოლოდ სადა, ეს კი არავინ იცის, უფალა კი იმას ამბობს, რომ თამარ მეფე აქ ასოფლავიაო. ზოგნი ამბობენ:

—ვინც თამარ მეფის სოფლავს ფეხს დაადგამს, ის მაშინათვე გაგიყდებაო.

მაგალითებრ: ერთ სოდომოს, მის სოფლავზე დასძინებია ერთს მწყემსს, გათენებისას ამდგარა, მაგრამ იქვე გაგიყებულა, გაგიყების შემდეგ იგი ტყეებში დადიოდა, დღე და ღამეს იქ ატარებდა, ტყის გარეული სასტიკი ნადირი არას ერჩოდა. ბევრჯერ ჭკითხა მას ხალხმა:

—ბიჭო, აბა გვიჩვენე ის ადგილი, სადა შენ დაგეძინა, რომ ჩვენც ვნახოთ, ოდესმე ჩვენებსაც არაფერი დაემართოსთ.

ბიჭი ვერაფერს პასუხს აძლევდა, რადგანაც მას ის ადგილი კარგად ადარ ახსოვდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს ბიჭი თამარ მეფის სოფლავთან მდგომის ბრძანებით მისულა, იქ გაჩერებულა და თამარ მეფის სოფლავისთვის პატიობის მოდარება დაუწყია ასე:

—დიდო მეფეო, მაპატიე, შემინდე ჩემი დანაშაური, შემიბრალე, კარგათ გამხადე.

ასეთი ხვეწნა თამარ მეფის სოფლავს შეუსმენია და ის მწყემსი მაშინათვე კარგად გამხდარა. ხალხს მიუმართავს მწყემსისთვის და უკითხავთ:

—აბა, გვიჩვენე ის ადგილი, სადაც გეძინა, სადაც გაგიყდი და სადაც ბოდოს მორჩი, რომ ჩვენც მივიდეთ და ვილოცოთ.

მწყემსს ველარ მოუგონია, დავიწყებია, ისე, რომ იმ ადგილის მხრის მოსაზრებაც კი ვერ შესძლებია.

იქვე, მურდულში, ამბობენ შემდეგს:—თამარ მეფე არ მომკვდარა, იგი ცოცხალია, ოქროს კუბოში ასვენია, ის კუბო ერთს გამოქვაბულს კლდეში დგას და თავფეხით უქრობელი სანთლები უნთია, ის როდისმე ადსდგება, ისევ მობრძანდება მურდულშიო.

—

კარჩხალის მთის ახლოს, სოფელს ბაძგირეთთან, საიდგანაც აკარა მაკახლეთ შავშეთის გზა გადის, მის მახლობლად არის ერთი ადგილი, რომელსაც სახელად ნინო წმიდა ეწოდება, ამ ადგილის მახლობლათ არის ერთი მშვენიერი ხეობა, მრავალ ნიორის ხე და ყვავილებით სავსე, ტიკის წყაროებით უხვი, ამ ხეობას თავის საკუთარი სახელი არა ეწოდება რა. ადრე, მაკახლელებს ამ ხევში უნახავსთ ერთი ქვის კუბო, ეს კუბო ერთს დიდს ქვაში ყოფილა ამოკრეფილი, სახურავიც ქვისა ჭქონია.

მცხოვრებთ კუბოს სახურავი გარდუხდიათ და შიგ უნახავთ კაცის საფცარი დიდი თავი, ძვლები და სხვა-და-სხვა ძვირფასი იარაღი და ნივთები. მნახველთ შეშინებიათ, ყველაფერი ხელ-უხლებლივ დაუტოვებიათ, კუბოს ხუფი დაუხურავთ, ერთ ადგილს დაუმარხავთ, ზედ მიწა დაუყრიათ და სამახსოვროთ გარს ძეძვი შემოუკრავთ. რადგანაც იქ მეოთხე ძველ კაცებს უთქვამსთ, რომ ეგ თავი, ძვლები და ნივთები თამარ მეფის ერთის გმირისა არისო, მისი შერეკვა და დაძვრა თამარ მეფეს ეწყინებაო.

—

კარჩხალის მთის ახლოს, ერთს მთაზე, სჩანს ერთი დიდი ქვის მისაბმელი, ძველად, ზოგნი ამბობდნენ, რომ თამარ მეფის დროს, შავი ზღვა კარჩხალის მთამდის იყოფო, კარჩხალის მთის კალთები შავ ზღვაში სჩანდაო, აქეთ რომ გემები შემოდიოდა, მაშინ იმ გემებს ამ მთის წვერებზე აბამდენ და ამიტომ მას ხალხისაგან „გემის საბმელი“ სწოდებიაო. თვით ეს „გემის საბმელი“-ც თამარ მეფეს გაუკეთებიაო. შემდეგ დროებში ეს ადგებული მთა ისე გადასხვაფერებულა, ისე შეცვლილა, რომ დღეს იგი კაცს ხიდვის დროს მდვთისაგან ადგებული ეგონება და არა კაცის ხელით გაკეთებული.

—

თამარ მეფეს, ოსმალნი, ხშირად ეომებოდნენ, თამარ მეფე მრავალ გზის მოერია მათ. ერთხელ შეუთვალა ასე:

—გირჩევნიათ ჩემთან ქურდულათ ომს თავი გაანებოთ, თორემ ოდესმე დაგამუხლებთ და დედა-კაცის ლეჩაქსაც თავზე დაგხურავთ.

ოსმალთა არ შეისმინეს ქართველთა განცხადება, იგინი კიდევ აეშალნენ თამარ მეფეს. ომი დაიწყეს, რასაკვირველია ისევ თამარ მეფემ სძლია, საქმე ერთობ გაუჭირა ოსმალებს, მალე მორიგებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, თამარ მეფემ ასე შეუთვალა:

—მე, მოგირიგდებით იმ პირობით, თუ დღეის შემდეგ თქვენ დაიმუხლებით ხოლმე, ფესსაც (ქუდი) შუაზე ჩაკეცილს ატარებთ და თავზედაც დედა-კაცის ლეჩაქის მსგავს რასმეს შემოიხვევთ. ოსმალთ მეტი გზა არ ქონდათ, პირობა ფიცით მისცეს. ომი შეჩერდა, ოსმალნი ძლეულნი წავიდნენ და ნიშნათ თავიანთის ფიცისა მას დღეს შემდეგ ჩაკეცილ ფესებს ატარებენ, თავზე თეთრს ლეჩაქს იხვევენ და მუხლდებიან კიდეცა.

—

თამარ მეფეს კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიდათ უყვარდა, ამ მთაზე ხშირათ დაბრძანდებოდა, აქედან დამზერდა მთელს დასავლეთ საქართველოს, მთელს შავ ზღვას. თამარ მეფის მამა-პაპასაც ძლიერ ჰყვარებია ამ მთასა და მთის კალთებზე ცხოვრება. ამის მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ დასავლეთ საქართველოში, ეს მთა ყველა მთებზე მაღალია, გარდა ამისა მთაზე ვაკეებიც ბევრია, მასთან ყველგან გრცელია, არსიანის მთასავეთ.

ერთს ვაკეზე, თამარ მეფის ბრძანებით გააკეთეს კარგი, მშვენიერი სამეფო სახლი, ეს სახლი მეტათ კარგის გეგმის ეოფილა, ასეთი მშვენიერი სახლი უცხო სახელმწიფოებშიაც არ ეოფილა, ამ სახლის ქება მთელს ხმელეთზე მოფენილა, სწორედ ამ ძვირფას სახლში ისადგურებდა თამარ მეფე როცა კი იგი აქეთ მობრძანდებოდა, ამავე სახლში იყო მისი ტახტი და მდივან-ხანაც. სამეფო სახლის გაკეთების შემდეგ, იმავე

ვაკეზე ქალაქიც გაუშენებიათ, მასთან კი დიდი საუდარი. მალე ვაჭრობა, ალებ-მიცემაც გახალებულა, რამდენიმე ხნის შემდეგ, თამარ მეფის ბრძანებით, იმავე მთიანს ახლოს, გაუშენებიათ ერთი კარგი ტბა და ამ ტბაში გაუმრავლებიათ თევზი, თევზი ისე გამრავლებულა, რომ იქ მცხოვრებთაც ჭეოფნიდათ თურმე და სხვაგანაც გაჰქონდათო. მაშინ კარჩხალის მთას სხვა სახელი ერქვა. კარჩხალი შემდეგ დარქმევია, ამბობდნენ ძველი კაცები, რომ მაშინდელ ამ ტბის ერთნაირს თევზსაც სახელათ კარჩხალი უწოდესო, ამ ტბის ნიშანი დღევანდლამდე იხილვებაო.

—

კარჩხალის მთის ძირს, სოფ. ევფრატის ახლოს, ერთს მშვენიერს ადგგას, თამარ მეფის ბრძანებით გაუშენეს ერთი დიდი მშვენიერი სასახლე. ამ სასახლეში გააკეთეს ერთი დიდი ლამაზი დარბაზი, შიგ მორთეს კარგის ძვლის ტახტებით, განჯინებით, კიდობნებით, სკამებით და მაგიდებით, ამ დარბაზის მახლობლივ სხვა ოთახებში დაწყობილ იქმნა სხვა-დასხვა ძვირფასის ტანთ-საცმელი, ოარადი და ვინ იცის რა კინდა რა, თვალით უნახავი, ენით დაუთვლელი, დაუფასებელი.

ვინც კი ქართველთაგანი თამარ მეფეს ეახლებოდა, ის პირველად ამ სასახლეში მოვიდოდა, აქ, ერთს ოთახში შევიდოდა, თავის ტანთ-საცმელს გაიხდიდა, სამეფო ტანთ-საცმლით შეიმოსებოდა, ოარადში ჩაჯდებოდა და ისე იახლებოდა თამარ მეფეს. მეფის ხიდვის და საქმიანობის შემდეგ ისევ ამ სახლში მოვიდოდა, აქ გაიხდიდა სამეფო ტანთ-საცმელს, იქ მეოფ კამგეს ჩაბარებდა, თავის ტანთ-საცმელს ჩაიცვამდა და მერე დაბრუნდებოდა თავის სახლისკენ. ამ სასახლის მცველებათ თამარ მეფისაგან კაცები იყვნენ დადგენილნი, ესენი მიმსვლელთა და მომსვლელთ დიდის თავაზით და პატივის ცემით ეპყრობოდენ, თამარ მეფეს დიდათ ეხარობდა, რომ ქართველი ხალხი კარჩხალის მთაზე სიარულს ეჩვევოდა, მასთან მოდიოდენ საქართველოს ყველა კუთხის ქართველნი, არც უცხოები

ეკლდებოდა: ოსმალ-სპარსნი, ბერძენ-სომეხნი და სხვანიც ხშირად მოდიოდენ, ეველას დიდს წყალობას აძლევდა, მისგან ერთი კაციც არ წასულა, ისე რომ მეფის უხვი მოწყალება და თავაზი არ მიეღოს, ამბობდნენ, რომ მაჯახლელებს მაშინ აჩუქა საკუთრებათ მთელი მაჯახლის ტუეები და ადგილებიო. მაშინ გაჩნდენ თურმე მაჯახელში კარგი ხდმისა და ხანჯლის მკეთებელნიო, ისეთი ხელოსნები, რომ მაჯახელი სტამბოლშიაც კი იქებაო.

—

ერთ სადამოს, თამარ მეფე, თავის თანხლებულებით, ბოხოვნებით და კარის კაცებით სამეფო სასახლიდგან ერთს მშვენიერს მადალს მთაზე ავიდნენ, იქ გაათიეს, ადმე, თამარი აქეთ იქით იმზირებოდა. სოფ. ეკეურატის ახლოს, ერთს ადაგას, შენიშნა მან მშვენიერი შუქი, სამთლის მსგავსი, მაგრამ უმაგალითო. თანხლებულებს მიმართა და ჰკითხა:

— აბა, შეხედეთ, ეკეურატისაკენ, რა მშვენიერი სამთლის სხივი ანათებს.

ეველამ შეხედეს, კარგათ ნახეს ბრწყინვალე შუქი, ეველა გაჩუმებულა, ერთმანერთს ეკითხებოდნენ.

—ნეტა რა არის ეს ბრწყინვალე შუქი, რა ანათებს მას?

შუქი მეორე, მესამე და მეოთხე სადამოსაც შენიშნეს, ამას თამარ მეფეც კარგათ ამჩნევდა. ეს შუქი არც შემდეგ მოსპობილა, მხოლოდ დამით ანათებდა. თამარ მეფემ ერთ დამეს კაცები გაგზავნა და სთხოვა ნახვა იმ ადგილის, სადაც შუქი ანათებდა, კაცები წავიდნენ, ნახეს ის ადგილი, იქ ადმოსჩნდა ერთი ქვა, რომელზედაც სჩანდა ის მანათობელი სხივი, ხოლო რა ანათებდა იმ სხივს, ის კი ვერ შეიგნეს. წავიდნენ მალე და ცნობა თამარ მეფეს მოახსენეს. ხანი გადიოდა, მაგრამ ის მანათობელი სხივი კი მაინც არ ქრებოდა, იგი ოთხსავ კუთხივ დიდს მანძილზედ ანათებდა.

მცირე ხნის შემდეგ, იქავ, ეკეურატის ახლოს, სოფელს ხერთვისში, ეკეკლესიის შენება დაიწყეს, შენების დაწყების

პირველ დღეს, მუშაობის შემდეგ, ხელოსნებმა მუშაობას თავი დაანებეს და სადამოზე თავ თავიანთ სახლებისაკენ წავიდნენ. გათენდა დილა, ხელოსნები მოვიდნენ ადნიშნულს ადგილს სამუშაოთ, მაგრამ იქ მათ ადარა დახვდათ რა, ნამუშავარი დაქცეული სრულიად და იარაღიც დაკარგული, დაიწყეს ამათ და. პარაკი, ჩივილი თუ ეს ვინ დააქციაო, ან იარაღი ვინ მოიპარაო, მაგრამ პასუხის მიმცემი არავინ იყო. მეორე დღეს მუშაობა მაინც დაიწყეს, სადამოს ყამს საქმეს აუშვეს ხელი და თავ-თავიანთკენ წავიდნენ დასაძინებლათ. მეორე დღეს მოვიდნენ დანიშნულს ადგილს და ნამუშავრის და იარაღის მდგომარეობა იმ გვარათვე დახვდათ, როგორც წინეთ, დადგინდნენ ამაზე იგინი, მაგრამ რას გაწყობდენ, ვერაფერს, ბევრის წუხილის შემდეგ მუშაობას ხელ ახლა მიეცნენ, ეს ამბები თამარ მეფესაც მოხსენდა, დადამდა დღე, ხელოსნებმა მუშაობას თავი გაანებეს, იარაღი შესანახად დაწყეს, იმ დამეს შენობას და იარაღს მცველიც მიუჩინეს. თვით შინ წავიდნენ დაიმედებულნი, რომ ამადამ ადარავინ რას გვიზამსო, რადგანაც აქ კაცებს ვაუენებთო. გათენდა დილა, წავიდენ სამუშაოზე მალე, მაგრამ მათ დღესაც იგივე სურათი დახვდათ რაც წინეთაც ნახეს რამდენ გზისმე, ესენი გაჭკვირდენ ამაზე, ჭკითხვენ იქ ეოფილთ ბიჭებს:

—ბიჭებო, ჩვენი იარაღი რა იქმნა?

—რა ვიცით თქვენი ჭირიმეთ, ჩვენ წუხელის არ გვძინებია, და ვინ წაიდო, ამაზე ვერას მოგახსენებთ.

ხალხი გაჭკვირდა ამაზე, ესეთი შემთხვევები რამდენგზისმე განმეორდა, ხელოსნებმა ვედარა გაწყეს რა, მოთმინებიდგან გამოვიდენ, კვალად ატნობეს თამარ მეფეს, თამარ მეფე ამაზე დაფიქრდა, ფიქრის შემდეგ ბრძანა:

—ხერთვისში, ეკეკლესიის კეთება შეაჩერეთ.

ხელოსნებმა შეაჩერეს მუშაობა, მოტლიდთ ხელოსნებმა აქა იქ იწყეს სიარული, დაკარგული იარაღის ძებნა, მათ ნახეს თავიანთ იარაღი დაწყობილი იმ ადგილს, სადაც თამარ მეფე

თავის თანხლებულებით მშვენიერ ნათლის სხივს ხედავდა. ეს ამბავი თამარ მეფეს ერთობ დროით მოხსენდა, თამარ მეფე მალე მიხვდა საქმის ვითარებას, ამიტომ ხერთვისის ეკეკლესიის ადგილის სანაცვლოთ ეკეკლესიის შენება დააწყებინა სწორეთ იმ ადგილს, სადაც იგი ბრწყინვალე შუქს ხედავდა ხოლმე. ხელოსნებმა მალე დაიწყეს ადნიშნულს ადგილას ეკეკლესიის შენება, მაგრამ მათ ადარც არავინ კედლებს უქცევდა და არც იარადი ეკარგებოდათ, საქმე დაშოშმინდა, ოთვალისფერი კარგათ გამოირკვა. ეკეკლესია მალე ადაგეს, იგი შეამკეს ძვირფასის ნივთებით და თამარ მეფის ბრძანებით ამ ეკეკლესიას ევფრატი ეწოდა, შემდეგ დროებში ამ ეკეკლესიის სახელი სოფელზედაც გადავიდა, თორემ ამ სოფელს წინეთ სხვა სახელი რქმევია. ეს სახელი ევფრატი იმიტომ დაერქვა იმ სოფელს, რადგანაც კარჩხალის მთის ძირობაზე იგი მეტათ შესანიშნავ კუთხეთ ითვლება, ოთვალნაირს დირსებით დაჯილდოვებულ, მადალი მთები, ტეით დაბურვილნი, ცივი წყაროები და სუფთა ველები, ათასნაირი ყვავილები, ფრინველები და ბევრიც სხვა ასეთი დირსება თამარ მეფის წინაშე ამ ხეობას დირს ხდიდენ ევფრატის სახელ-წოდების. თამარ მეფემ ისურვა ამ კუთხის კარგის სახელის წოდება და მისის წყალობით ეს წოდება მას არც მოესპო, არ დაეკარგა. მან კანონიერათ მიიღო ეს სახელწოდება. დღესაც არს ევფრატი მაჯახელში და უნდა ითქვას, რომ იგი დაჯილდოვებულია ბევრნაირის დირსებით.

ეკეკლესია ადაგეს, შეამკეს ოთვალ ნაირის დირსებით და ნივთებით. ის სხივი ეკეკლესიის ადშენების შემდეგაც ჩნდებოდა ეკეკლესიის ერთს კედელზე, რომელ კედელიც გაკეთებულ იყო იმ ქვის ადაგას, სადაც პირველად ჩნდებოდა უქრობელი ლამპარი. ძველათ თურმე ამ ეკეკლესიას მთელი მაჯახლის ხალხი დიდის მოწიწებით სცემდა პატივს, მათ ახსოვდათ, რომ იგი ეკეკლესია თამარ მეფის ნაშენი იყო და მიტომ უფრო ადიდებდენ მას. საქართველოს უბედურის მდგომარეობის შემდეგ, რაც ოსმალთა დასავლეთ საქართველო დაიმორჩილეს და ხალხი

გაათავრეს, იმ დროსვე, გათავრება დაუწყეს მაჯახლელებს, ესენი მეტათ მტკიცეთ იდგწოდენ თავრების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს მაინც საქმე გაუჭირდათ, ძლეულ იქმნენ, ამ ძლევის შემდეგ კი მუსულმანებმა მედგრად უწყეს დევნა და რამდენიმე ხნის განმავლობაში იგინი გაათავრეს მთლად, მაგრამ მაჯახლელები საიდუმლოთ მაინც ქრისტიანობდენ, შინათ გამცემთა მეოხებით ეს ამბები ოსმალებმა შეიტყეს, მათ სასტიკად სდევნეს მაჯახლელები და უკანასკნელ ეკეკლესიების ქცევა ნგრევაც დაუწყეს, საქმე როცა ევფრატის ეკეკლესიის დაქცევაზე მივიდა, მაშინ მაჯახლელებმა აღარ მოითმინეს და ბირდაბირ მიმართეს თავრის ბრძანებელს ასე:

— ჩვენ, თქვენს ბრძანებას ყველაფერს შევასრულებთ, ოღონდ ერთი ამას გთხოვთ, რომ ევფრატის ეკეკლესიის დაქცევის დროს ერთი კედელი არ დაგვიქციოთ.

— რომელი კედელი? ჰკითხეს ბრძანებლებმა.

— სამხრეთის კედელი, რადგანაც ამ კედელზე, ადრე, სამთელი ენთებოდა და ამ სამთელს თამარ დედოფალიც ხედავდა ხოლმე.

ოსმალთ შეისმინეს მუდარება, დააქციეს მთელი ევფრატის ტაძარი, მხოლოდ არ დააქციეს ის კედელი, რომლის მფარველობაც მაჯახლელებმა დაავალეს. მას შემდეგ მაჯახლელთა მოხუცებულნი ხშირათ შეიკრიბებოდნენ ამ კედელთან და ცხარეს ცრემლების დვრით სტიროდენ და თან ლოცულობდენ. იგინი ევედრებოდენ ღმერთს, რომ ის კედელიც არ დაქცეულიყო, რომელზედაც მათი მამა-პაპა ოდესმე მღვთიურს ბრწყინვალე შუქსაც ხედავდა. ერის წმინდა საქციელი და მიდრეკილება იქამდის დიდის ძლიერებით იყო სავსე, რომ დღევანდელამდისაც კი ევფრატის ეკეკლესიის ერთი კედელი დაურღვეველი სდგას ობლათა. ეს კედელი მეც ვნახე.

მაჯახლელები ამბობენ, რომ თამარ მეფე კარჩხალის მთაზე გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათო.

—

მდვთისაგან კურთხეულის და ამადლებულის საქართველოს დიდს შესანიშნავის დედოფლის თამარის მამამ, დასავლეთ სამხრის საქართველო ამიერ საქართველოს შემოუერთა, მამის ანდერძის ძალით, თამარ მეფე, უველაზე უფრო ხსენებულ ადგილებისკენ დაიარებოდა. ქაჯეთის ციხეც თამარის ბაბას გაუკეთებია.

ერთხელ თამარ დედოფალი თავის წარჩინებულის სამეფოს კაცებით და კარის კაცებით ერუშეთისკენ მოგზაურობდა, ერუშეთიდგან ოლთის უნდა გადასულიუვნენ. მგზავრობის დროს, ამათ ერთ ადგაგას დაუდამდათ, იმ დამეს იქ უნდა გაეთიებინათ. მაგრამ ცხენიდგან ძირს ჩამობრძანების უმად თამარ მეფემ რადაც სუნი იგრძნო და ამიტომ კარის კაცებს მიმართა:

— უჭ! აქ როგორ შეიძლება დამე დაშთენა და გათიება, ვერ ხედავთ რა ამბავია, წავიდეთ, წავიდეთ, აქ ვერ დავდგები, ყარს, ყარს, ძრიელ ყარს.

ამ სიტყვის გაგონებაზე თანხლებულთაც შექნეს ყრიამული ასე:

— უჭ! მართლა რა ყარს, ყარს, ყარს და ყარს, წავიდეთ, წავიდეთ, ყარს, ყარს და სხვანი. თამარ მეფე საჩქაროდ აბძანდა ცხენზე, თანხლებულნიც მოემზადნენ და სხვაგან წავიდნენ, ნიშნათ თამარ მეფის იმ ადგაგას მიბრძანების, ჩამოხდენის, მაგრამ იქ ადარ დარჩენის, იმ ადგაგას სახელათ ყარსი დაერქო, შემდეგ აქ ქალაქიც გაშენებულა, სწორეთ დღევანდელი ყარსი ეს მაშინდელი ყარსი არისო.

ეს ხალხის გარდმოტემა არის, თორემ ყარსს ძველათ რაც უნდა რქმევოდა ქართველთაგან, ის ჩვენ ჩვენის გეოგრაფიულის, ეტნოგრაფიულის და ისტორიულის მწერლობითაც ვიცით.

—

თამარ მეფის დროს, საქართველო ვრცელი ქვეყანა იყო, მაშინდელი საქართველოს მიჯნები იყო რკინის ბალო — დასავლით, დარუბანდი — აღმოსავლით, ისპირი სამხრით და ოსეთი ჩრდილოთ. მაშინ ქართველთ რიცხვი 10 მილიონზე მეტი

იყო. ასეთ მრავალ ხევიან და მთიან ადგილებს ქართველთ მეფენი კარგათ განაგებდენ. ამათვე განავრცეს ქართველთ შორის ვაჭრობა, ხელოსნობა.

მათ ქართველებს ეს არ აკმარეს, ზღვაზე ცურვა და ნავოსნობაც წინ წასწიეს, ქართველნი მიეჩვევნენ ნავოსნობას, აი თვით თამარ მეფეზედაც რომ ამბობენ: — „ზღვაში ჩაუშო ხომალდიო“. ნავოსნობა და გემოსნობა გამოწვეულ ჰყო უფრო ვაჭრობის წარმატების საქმემ, ბერძნებთან და სხვა ხალხებთან ქართველების ვაჭრობით დაახლოვებამ. ამ მოძრაობისთვის რასაკვირველია ზღვაზედ კარგი ნავთ საუფლრის მოძებნა იყო საჭირო, მტოდნე კაცებმა მალე მოსძებნეს და უველაზე სამჯობინრათ, მოხდენილათ და გემების ადვილათ მისადგომ ალაგათ დდეანდელი ბათუმის მიდამოები სტნეს. მაშინ ბათუმს სახელად კახაბერი ერქვა, იმიტომ რომ ბათუმის იქით, სოფ. ერგემლის, საუანე დიდს ადგილებს, ჭოროხს აქეთ, უველას კახაბერი ერქვა, დდეს კი მარტოთ ბათუმის იქითა კუთხეს ჩქვიან კახაბერი, სალაც დდეს კარგი სანაოსტნე და საუანე ადგილებია. ბათუმს აქეთ საგურიელო იყო, მხოლოდ თავდგერიძენი ჩუტროხობდნენ, ბათუმს — ანაშიძეები. იქითა მხარეს უველას კახაბერი ერქვა, აქეთა მხარეს გურია.

მოხდენილის ნავთ საუფლრის ადგილის მოძებნის შემდეგ, ნასწავლ კაცებმა თამარ მეფეს მოახსენეს, რომ ვიპოვეთ კარგი ადგილებიო, თამარმა ჩკითხა:

— სადა, რომელ კუთხეს?

— სწორედ იმ კუთხეს, სალაც ბაბის თქვენის მამისაგან ქაჯეთის ციხე გახლავსთ გაკეთებული, მის ახლოს, ვაკე ალაგას, სალაც სოფელიც არის და გარეშემო შამბით და ეწერით არის საავსე.

— ძალიან კარგი, იქ მთებიც ახლოა, ზღვამაც არ იცის იქ მაინცა და მაინც დიდი ღელვა.

— დიახ, ის გახლავსთ, მოასსენეს მტოდნე კაცებმა.

— კეთილი, მეც ოქვა, ერთს ხატარა მთაზე, ხატარა ეკეკლესიას გავაკეთებ. ძალიან კარგი, მაშ წაბრძანდით, გაეცით ოთვალიანი ბრძანება, სოფელი — დაბათ გარდაკეთდეს, გაკეთდეს დუქნები, გაჩაღდეს ვაჭრობა და დაინიშნოს ზღვით იქიდგან გასვლა გემების და იქვე შემოსვლა.

ნასწავლ კაცებმა მალე ადასრულეს ბრძანება. სოფელი, ქალაქათ აქცეს, ოთვალისფერი მოაშენეს, გემის საბმელები გააკეთეს, ეს კუთხე გაჩაღდეს. თამარ მეფემაც თავის სიტუვის თანხმად, ახლანდელ ბათუმის ხირდაპირ, ერთს ხატარა მთაზე, გააკეთებინა სამების ეკეკლესია და თვით ბათუმში დიდი ვრცელი თლილი ქვის ეკეკლესია, თათრობის დროს, ეს დიდი, ვრცელი ეკეკლესია დაქცეულ იქმნა ქართველ მაჭმადიანებისაგან და მის ადგილს ჯამე გააკეთეს. დღევანდელი დიდი ჯამე სწორედ იმ ადგილს არის გაკეთებული, სადაც თამარ მეფის ბრძანებით დიდი ეკეკლესია გუკეთებიათ. სამების ხატარა დაქცეული ეკეკლესია კი დღევანდლამდე სდგას.

რადგანაც თამარ მეფეს აქ ხშირათ არ შეეძლო მიბრძანება, მიტომ ბათუმში, მან დაადგინა ერთი ქართველი გამგე ხირი, რომელსაც მაშინდელი ქართველნი ამ გამგე ხირს ბატონს უხმობდენ. ამ მხარეზე ვაჭრობისთვის ოსმალ-სპარსბერძნები და სხვებიც ხშირათ მგზავრობდენ, ესენი სიტუვა ბატონს ვერ გამოსთქვამდენ თავისუფლათ, მათ ტანის მაგიერ უფრო თანი ემარჯვებათ, ამიტომ ბათონს უხმობდენ, შემდეგს დროში, ამ დაბასაც სახელათ ბათონი, ანუ შემდეგ, როცა ქართველებს დევნა უწყეს ოსმალებმა, მაშინ იმას ბათომი დაერქო. ასე რომ დღევანდელი ბათუმის ქალაქათ გადაკეთება ეკუთვნის თამარ მეფეს და სიტუვა ბათუმიც მისის წყალობით დაერქვა.

—

ლივანის ქართველ კათოლიკეები, რომელთაც ყამთა ვითარების მოხებით დაკარგეს ქართული ენა და დღეს სომხურს ენაზე ლაპარაკობენ, აი რას მოგვითხრობენ ზეპირ სიტუვაობით:

— თამარ დედოფალმა როცა თორთომის ხეობის, იშხნის, ხახულის და ბარხალის ეკეკლესიების კეთება დააწყებინა, მერე შენების დასამთავრებლათ ფული დაკლდათ, თამარ მეფემ არ ისურვა ხალხის შეწუხება, მან თავის თავიდგან გამოიღო ოთხი თმა, ეს თმები მისცა კარის კაცებს და ასე უთხრა:

— მე ხალხის შეწუხება არ მინდა, წაიღეთ ეს ოთხი თმა, გაყიდეთ და ამაში აღებულის ფულით დაამთავრეთ ეს ეკეკლესიებიო.

კარის კაცებმა წაიღეს ეს თმები და მართლაც მალე ისე ძვირფასათ გაყიდეს, რომ მასში აღებულის ფულით ყველა ეკეკლესიები დაამთავრეს.

ესენი მოგვითხრობენ ასე, თორემ ჩვენის ისტორიით ვიცით ამ ეკეკლესიებთა აღშენება ვისგან როდის იყო.

—

დიდუბეში, სადაც ყველა წმიდის ეკეკლესია არის აღშენებული, მის მახლობლივ გაკეთებული ეოფილა თამარ მეფის მშვენიერი სასახლეც, იქვე ეოფილა მშვენიერი ბაღი; ბაღი შემკული ეოფილა ყველა ნაირის ყვავილებით, სხვა-და სხვა ხეხილებით, მრავალნაირის ფრინველებით და ბარმარილოს ჭაუზებით.

სასახლის ერთს ოთახში, სადაც დღისით თამარ მეფე ისვენებდა ხოლმე, ძილის დროს, სადაც მარჯვენა მაჯას დაურდნობდა, მის ახლოს, კედელში დიდის ხელოვნებით წყაროს ლულა იყო და წმიდა ანკარა წყარო გადმოდიოდა, იქვე ფირუზის ჭაუზში ჩადიოდა, მერე იქიდგან ბაღში გადიოდა და ერთ მარმარილოს ჭაუზში ჩადიოდა, წყაროს ლულასთან ეკიდა ლალის ჭიქაც, თამარ მეფე როცა გაიდვიძებდა და წყალს ისურვებდა, წყლის მიტანისათვის ბანოვანთ არ შეაწუხებდა, თვით აიღებდა ჭიქას და წყალს მიირთმევდა. ეს წყარო ავჭალიდგან ეოფილა გამოყვანილი, დღევანდლამდისაც კი სჩანს ლულების ნაადგილარიო. იგი გამოყვანილი იყო ავჭალიდგან დიდუბემდის ვაკის თავ-თავს ფერდოების გვერდზედ, აღმართ აღმართის ავლით, რომ მას კაცის ფეხი არ მოხვედროდა.

—

ოამარ დედოფალი, ერთ დროს ბაზალეთის ტბისკენ ბრძანდებოდა, მთის ხალხი დიდად გაუმასხვინძდა. სამასხვინძლო ადგილათ ბაზალეთის ტბის მიდამო ამოირჩიეს, რადგანაც მაშინ ეს ტბა დიდი ტბა იყო, მასთან ლურჯი ლილასავეს, წმინდა ანკარა, მეტათ სასიამოვნო სანახავი. მაშინ ტბაში აქა-იქ ბევრი ხეებიც ყოფილან დაშთენილი, რომელნიც ტბაში უვნებლად ჭვავოდნენ ზამთარ ზაფხულს.

ნადიმის გათავების შემდეგ, თამარ მეფე თავის კარის კაცებით ტბისკენ იმზირებოდენ, თამარ მეფეს, ამ დროს, ხელზე თავის საყვარელი მიმინო უჯდა, მიმინო უცებ ხელიდგან გაჭეფრენია, წასულა ტბაში და ერთ ხეზე დამჯდარა. თამარ მეფეს სწყენია ეს, მალე უთქვამს შემდეგი:

— ვინც იმ ტბაში შეცურდება, მიმინოს დამიჭერს და მომიყვანს, იმან რაც უნდა მთხოვოს საჩუქრათ, მე ყველათერს ავუსრულებო.

საჩქაროთ ერთი დიაკვანი გამოსულა და თამარ მეფისთვის მოუხსენებია:

— მე, ავასრულებ მეფეო თქვენს თხოვნას.

— კეთილი, მეც ავასრულებ დაპირებას.

დიაკვანი საჩქაროთ შეცურდა ტბაში, მიუახლოვდა იმ ხეს საცა მიმინო იჯდა. თამარ მეფე თავის კარის კაცებით შორიდგან უმზერდა. ამ დროს, უცებ თამარ მეფეს რაღაცა ჭაზრმა გაუელვა გულში და თავისით სთქვა:

— დმერთო, თუ იმ დიაკვანს ცუდი რამე აქვს გულში ჩანერგილი, აქ ნულარ გამოიყვან.

დიაკვანი სიხარულით მოცურავდა, მაგრამ შუა ტბაში მიმინო ხელიდგან გაუფრინდა და თვითონაც შიგ დაიხრჩო, ვეღარ გამოვიდა. ცუდი რამ გაეფიქრა თურმე იმ ბედ-შავს. თამარ მეფემ ბევრი იწუხა ამაზე, ბოლოს მიმინო თავისით მოუფრინდა და ისევ კულანდებურათ ხელზე დაუჯდა.

—

თამარ მეფის დროს, ჯვარის მონასტრიდგან მცხეთის ეკეკლესიის გუმბათამდის ერთი ჯაჭვი ოთოვლა გაბმული, ერთი მწირ ბერი ამ ჯაჭვზე ისე დაიარებოდა, როგორც კარგს ბილიკს გზაზე. ამბობდნენ, რომ ეს მწირ ბერი ჯერეთ ცხეთის ეკეკლესიის ზარს დარეკდა, აქ ცისკარ-წირვა დადგებოდაო, მერე ჯაჭვით ჯვარის მონასტერში გავიდოდა, იქ დარეკავდა ზარსა და იქ დადგებოდა წირვა-ლოცვა. შემდეგ ისევ ცხეთაში გამოვიდოდაო. ამ მწირ ბერის სახელს მთელი ქართველობა იცნობდაო.

ერთხელ თამარ მეფე, ცხეთის ახლოს, ბებრის ციხეში ბრძანდებოდაო. აქ ჩამოვარდნილა დაპარაკი:

— ეს ჩვენი მწირ ბერი წმიდა კაცია, რომ ასე ადვილათ გადის ჯაჭვზე და გამოდის!

ერთს იქ მეოთე ბერს უთქვამს.

— არა ბატონებო, რის წმიდა კაცია, ამ ჯაჭვზე ეველას შეეძლება გავლა ადვილათ, აქ ოსტატობა გახლავსთ საჭირო და არა სიწმინდე. იმაზე წმინდა მე გახლავართ, გნებავთ მეც გავალ.

— აბა ერთი, გაბრძანდით და ვნახავთ, ამის სამაგიეროთ რასაც ითხოვ, იმას გიბოძებ, მიუგო თამარ მეფემ.

— ძალიან კარგი, ეხლავ გიახლებით.

ბერი მოემზადა მცხეთიდგან ჯაჭვზე გავლას, მალეც ავიდა და დაიწყო ნელ-ნელა გასვლა.

თამარს გულში ჭაზრმა გაუელვა და თავისით სთქვა:

— ოთვალი დედაკაცი უძლურ არს, თმა გძელ და ჭკუა მოკლე, ეს მეორეთ შევცდი, ღმერთო, მაპატიე ცდომა, თუ იმ ბერს ცუდი რამ დავალება სურდეს, აქეთ ნუღარ გამოიეგან. ბერი მივიდა თუ არა შუა ჯაჭვზე, უცებ გადავარდა და ადიდებულს არაგვში ჩავარდა და დაიხრჩო. ამ შემთხვევის გამო თამარ მეფემ მცხეთელებს დიდი საჩუქრები მისცა, ახუქა მიწები, შეაკეთა ხიდი და ბებრის ციხე, მცხეთა მორთო დამაზათ.

მაშინდელი გაბმული ჯაჭვი დიდხანს იყო ასე დარჩენილი, ხოლო იმ ბერის შემდეგ კი ადარავინ გავიდოდა. ბოლოს დამტკიცდა რომ მართლაც ის მწირ ბერი მეტად სუფთა წმინდა კაცი ყოფილიყო.

—

ქართველ ხალხს თამარ მეფე წმინდანთ ჭეავს მიდებული, რადგანაც ძველთ ქართველთ ეკკლესიამ თამარ მეფე წმინდანებთან შერიცხა. ზოგიერთ ქართველს მიტომ არ სჯერა, რომ თამარ მეფეს ქმარი ჭეავნდა, ეს რომ ვისმეს უთხრა, იგი შეურაცყოფათ მიიღეებს, ეწეინება და გეტეავის:

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ, რომ თამარ მეფეს ქმარი ჭეავნდა.

ასეთი ამბის დასამტკიცებლათ აი რა გვარი მოთხრობაა ხალხში დარჩენილი:

თამარ დედოფლის მამა რომ გარდაიცვალა, სარდლებმა და თავადებმა თამარ მეფეს გათხოვება სთხოვეს, მაგრამ თამარ მეფემ გათხოვება არ ინდომა. უქრმოთ დარჩა, ქალწულებრივ გარდაიცვალა. ხალხი ძრიელ დარდობდა, რომ თამარ მეფე არ თხოვდებაო. დმერთმა ერის წუხილი შეისმინა, თამარ მეფე მდვთის ბრძანებით დაორსულდა და ვაჟისშვილი მიეცა. ეს ვაჟისშვილი იყო ლაშა გიორგი. დაბადების უმალ, თამარ მეფეს ლაშა ძვირფას სამოსში გაუხვევია და ძიძისთვის გაუბარებია. ძიძას გაუზდია, როცა გაზდილა, მოჩიტებულა, მაშინ თამარ მეფეს თავის თითებით ლაშასთვის ტანთსაცმელი შეუკერავს, ბანოვანნი გაუგზავნია, ტანისამოსი წაუღიათ, ლაშა მოურთავთ და თამარ მეფესთან მიუყვანიათ. მის შემდეგ იგი თამარის გვერდით ყოფილა და იქ გაზრდილა.

თამარ მეფეს ეს უმაწვილი მიტომ მიუცია ძიძისთვის, რადგანაც ამის მოვლა სამეფო საქმეების სამსახურისთვის დროს წამართმევსო. ესეთი სიბრძნით სავსე იყო თამარი. კარის დიდებულებმა უთხრეს თამარ მეფეს:

— ნუ ინებებთ მაგას, მდვთის მოტემულს ნუ გაბრიეთ სხვაზე. ნუ იკადრებთ, დმერთმა არ გიწეინოთ.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვსთ, ვინც გაჩინა იგივე დაარჩენს მას, დმერთი თავის გაჩენილს არ გასწირავს, ეგ მე სამსახურის დროს წამართმევს, მე ასე ვარჩიე, ეგეც კარგად იქმნება, მეც ხალხის სამსახურის საქმეს არ დავაკლდები.

თამარის ასეთი განცხადება ყველას მოეწონა; ყველა დოცავდა მის სიბრძნე გონიერებას.

—

ოსეთში ვერ ნახავთ ვერც ერთ ოსს, რომ იმან თამარ მეფეზე რამე გარდმოცემა, ლეგენდა, ან ლექსი არ იცოდეს. სხვათა შორის მათში დარჩენილია შემდეგი ლეგენდარული გარდმოცემა.

თამარ მეფის დროს, იალბუზის მთაზე, თოვლი არ მოდიოდა, იგი სანაქებოთ იყო ყველას წინაშე. თამარ მეფესაც თავის ერთი მშვენიერი სასახლე ამ მთაზე ჭქონდა გაკეთებული, სასახლეში სხვათა შორის თამარ მეფისთვის საკუთრათ აღგებული იყო თორმეტი ოთახი, თორმეტივე სულ გარეულის ნადირთა ძვლებით შემკობილი, ძვირფასის ხალებით და ფარჩეულობით მორთული. ამ სასახლეს გარშემო დიდი გალავანი ეკრა, გალავანში იყო ერთი დიდი თორმეტ ოთახიანი კოშკი, ერთიც სხვა სასახლე, გალავანს შუა მშვენიერი ბალახი იზრდებოდა, თამარ მეფის გარეულ თხა, კანჯარი და ირმის ჯოგიც შიგგე იყო გაშვებული და ბალახს სძოვდენ.

უმეტეს ნაწილს, თამარ მეფე ამ მთაზე სცხოვრებდა, უუვარდა აქ ამოსვლა და აქედგან მზერა ოთხ კუთხივ. ერთხელ თამარ მეფე სხვაგან მიბძანდებოდა, საქართველოს ადგილების დასათვალიერებლად. მალე წაბრძანდა კარის კაცებით და თავის თორმეტ ოთახიანი სასახლის მფარველათ თავის გამდელი დასტოვა, გამდელს ბატივს სცემდა, წაბრძანების დროს გასაღებები გამდელს გარდასცა და უბრძანა ასე დავალებით:

— გამდელო, ეს გასაღებები შენ გებარებოდეს, ჩემ მოსვლამდის, შენ გაიღე შხოლოდ თერთმეტი ოთახი და სუფთა ჭაერისა და მზისთვის სანათურები ღია დასტოვე. მხო-

ლოდ გთხოვ, რომ მეთორმეტე ოთახის კარები კი არ გაიღო, ეს არ დაივიწყო.

— ბატიოსანი, მიუგო გამდელმა.

თამარ მეფე წაბრძანდა, მტირე ხნის შემდეგ დედაკაცს ცნობის მოუვარეობა აღეძრა მის, თუ ნეტა თამარ მეფემ მეთორმეტე კარის გაღება რათ აბიკრძალა, ნეტა იქ რა უნდა ჰქონდეს დამალული. სულმა ვერარ გაუძლო, ვერ მოითმინა და ბირგვლათ მეთორმეტე ოთახის კარები გაიღო.

ამ ოთახში თამარ მეფეს თოვლის ვარსკვლავი ჰეოლია დამწუვდეული, კარების გაღების უმალ თოვლის ვარსკვლავი კარში გაფრენილა. დედაკაცი შეწუხებულა, მაგრამ ვერარა უშველიარა.

ეს ამბავი თამარ მეფეს მალე შეუტყვია, იგი საჩქაროთ დაბრუნებულა შინ, მაგრამ ვარსკვლავისთვის ვერარა უშველიარა, თამარ მეფეს დიდად სწყენია, ფიცის გატეხისათვის გამდელი დაუწყევლია.

ამ ამბის შემდეგ, მეინვარზე მუდამ წელს დიდი თოვლი მოდის ხოლმე, თოვლისაგან იკრიბება დიდრონი ზვავები, მერმე ეს ზვავი მოსარღვევათ ნელნელა ემზადება, გაზაფხულის ბირზე დიდის ჯექა ქუხილით ძირს ეშვება, ვარდება და მის მეოხებით გამდელსა და გამომგლელსაც საშინლათ დუბავს, ბევრი უბედურება მოხდარა მისგან, ჯერ ბევრიც მოხდება.

თამარ მეფისაგან დაწყევლილი გამდელი ტარტაროზათ ქცეულა, სასახლიდგან გაქცეულა და გუდიანების დასში შერაცხულა, მათში ჩარეულა საოგვლოთავოთ, თამარ მეფის ჯავრი კი მაინც გულში ჩაჰყოლია. სამაგიეროს გარდახდა მოუნდომნია.

განვლო დრო ყამმან და თამარ მეფე გარდაიცვალა, რამდენიმე ხნის შემდეგ დიდის კლოვით და გოდებით დასაფლავეს ერთ ადგილს. თამარ მეფის გარდაცვალების ამბავი ტარტაროს გამდელს მალე შეუტყვია.

ეს გაქცეულა დროზედ, გაუთხრია თამარ მეფის საფლავი, ამოუღია და იალბუზის მთაზე წაუღია თავის საადგომ ბინასთან და ერთ ადგილს დაუსაფლავებია. ხალხის შინებია მას, რომ ვაი თუ გაიგოს ვინმემ, მოვიდეს, მოსძებნოს, იპოვნოს თამარის სამარე, ამოიღოს და წაიღოსო.

ამიტომ ამ ტარტაროზ დედაკაცს გაუკეთებინებია რამდენიმე მარმარილოს ქვა, ერთ ქვაზე დაუწერია რომ აქ მარხია თამარ მეფე, მეორეზე დაუწერია, რომ აქ არ მარხია თამარ მეფე და ასე და ამ გვარათ სხვა ქვებიც, მერე წაუღია ეს ქვები და ერთ ადგილს, სადაც თამარ მეფე არ ყოფილა დასაფლავებული, იქ მოუფენია და მით დაუბნელებია თამარ მეფის საფლავის ცნობა.

ერთ დროს ხალხს თამარ მეფის საფლავის ძებნა დაუწყია, მერე მიუგნიათ იმ ადგილისთვის, სადაც მოსტუუბლათ მარმარილოს ქვები ყოფილა მოფენილი, უთხრიათ მრავალი საფლავები, მაგრამ ვერსად რა უპოვნიათ. ტარტაროზს დედაკაცს სულ უცხო ხმა ადგა დაუკრძალავს თამარ მეფის გვამი.

ეს ხალხის გარდმოცემა არის, თორემ ისტორიით ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თამარ მეფე გელათში ასაფლავია, დავით ადმაშენებლის მახლობლათ, რაზედაც ზემოთაც ვისაუბრეთ.

—

საქართველოს კუთხეებში, თითქმის ყველა მხრის ქართველი ამბობს, რომ თამარ მეფე ძრიელი მეფე იყოო, მან სპარსეთის ზოგიერთ მთავრებს ხარჯი დაადვაო, ასევე დიდი გავლენა ჰქონდა სტამბოლზეო. ამ ძალიერების საქებრათ ძველათვე გამოთქვეს შემდეგი ლექსიო.

„ურბნის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დავსდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრ ზღვაზი რკინა ჩავაგდე,--ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ამდენი საქმის მომქმედმან, ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

რკისათ იგულისხმება ხომალდის ხუზა. ქართველთა გარეშე თამარ მეფის ძალიერების შესახებ ლეკებშიაც ძრიელ ბევრი ცნობებია შეკრებილი.

—

აჭარაში, ზოგიერთი ბერი თვალტიკი ხოჯა მოლები ბრძანებენ, რომ თამარ მეფე თათარი იყოო. ამის მინაგვარი ცხინვალშიაც ყოფილა, აი მაგალითებრ: თამარ დედოფალი იყო ერთი ძალიერ თათრის ხელმწიფის ქალი. ეს ქალი ძრიელ ლამაზი იყო, მამამ გათხოვება დაუპირა, ქალი არ თხოვდებოდა, უერი სთქვა, მამას ჯავრი მოუვიდა, ერთს ოთახში დააპატიმრა, მოინდომა მისი ტანჯვა, მაგრამ თამარი მალე მიხვდა ამას. ღმერთს შეევედრა ოდონდ ამ ციხიდამ დამიხსენ და

მე მაშინათვე მოვინათლებიო. რაც ინატრა, დმერთმა შეისმინა, თამარი ვარსკვლავათ იქცა, ციხიდგან გათრინდა. ერთ დიდს მთაზე ეკეკლესია გაკეთა და იქ დაიწყო ცხოვრება, მამამ ვედარა აკადრა-რა, თამარმა ეკეკლესიის გვერდით ერთი კარგი სასახლეც გაკეთა, ერთ ოთახში ვარსკვლავი ჭეშვანდა დაჭერილი, ერთხელ თამარ დედოფალი დასავლეთ საქართველოში მგზავრობდა. ამ დროს მისმა კამდელმა დაკეტილი ოთახის კარი გაადო, თოვლის ვარსკვლავი გათრინდა, მის შემდეგ ცა ნისლით შეიკრა, თამარ მეფემ ეს ამბავი მალე შეიტყო, შინ დაბრუნდა, მაგრამ ვარსკვლავს ვედარა უშველარა, მას შემდეგ ეს მთები სულ ნისლით იკვრის და ჯერეთ ერთი წლის თოვლი არ არის გამდნარ გათავებული, რომ მეორე წლისაც ზედ ემატება და მის მეხებით იქაურ მიდამოებთა ხეებსა და უვავილებს სასტიკათ ახმობს. ამ შემთხვევის შემდეგ ჩამოვარდა ოსეთში ზამთარიო, ამ ზამთარმა დიდათ ავნო ოსის ხალხსაო.

ძველად, ქართველებმა შემდეგი ჩვეულება იტოდენ: სადმე ავადმყოფს რომ გაუჭირდებოდა, მას შეთქმევინებდენ, რომ ოდონდ კარგად გახდეს და მის შემდეგ თამარ მეფის სათლავს მოვსძებნიო. მის სათლავის მიწას თვალებზე წავისოდთ, სათლავს ბატივს ვსცემთო.

ქართველ მაჭმადიანებს, ადრე, მგონი ქრისტიანობის დროს და შემდეგაც თამარ მეფის ლოცვა სტოდნიათ. ლოცვაში გამოხატული ეოფილა, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის დმერთთან ზის, წმინდანებთან იმყოფება; ის კიდევ მოვა ოდესმე, ჩვენს თხოვნას შეისმენს, აჭარას ნახავს, თავის ბეგიებს დაემდურება. სწორეთ ასეთის სოტნებოს მიმართვით შესდგა ხალხში მრავალი სახალხო ლექსი.

ბევრს ადაგას ფშავ-ხევსურეთ-თუშეთშიაც ასევე ჭქონიათ, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის სატალა დაძინებული არის და ჩვენ თუ კარგად შეგვევედრებით, მაშინ იგი ადგება და მოვა ჩვენთანაო. იქვე იტყვიან:

თამარ მეფე ამირანს იცნობდა, იალბუზე ამირანი ნახაო, როსტომ და ბეჟან თამარ მეფის გმირები იყვნენ, თამარ მეფეს ესენი წაუძღვნენ წინ, როცა იგი ამირანთან წაბრძანდაო. მთის ხალხს თამარ მეფე ხატათ აქვსთ გამოსახული.

1884 წ. ზ. ჯ.